შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

კრწანისის შესახვევი №17, ს.კ. 01.18.06.012.146,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის
კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2026

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება დამუშავებული იყო ჩვენს მიერ. ამჟამად განიხილება პროექტის მორიგი კორექტირება. კერძოდ:

-1 - 3 ღერძებს შორის E ღერძზე -6.60 და -3.60 ნიშნულებზე დაემატა მონოლითური რკინაბეტონის კოჭი;

- 6.60 ნიშნულზე შეიცვალა B ღერძზე არსებული დამხმარე სათავსოს გაბარიტები, ასევე F - E ღერძზე არსებული კიბის უჯრედში შესასვლელი ტამბურის გაბარიტები;

- 3.60 ნიშნულზე A' და A ღერძებს შორის არსებული კომერციული და დამხმარე ფართების ვიზუალები და ტიხრები, და ამავე ნიშნულზე E - G ღერძებს შორის და 7 - 10 ღერძებს შორის არსებულ დამხმარე ფართში ტიხრების მოწყობა;

- 0.00 ნიშნულზე 4-10 ღერძებს შორის კომერციულ ფართში დაემატა ტიხრები და გადაინაცვლა კარის მდებარეობა. ასევე, 1 - 3 ღერძებს შორის კომერციულ ფართში დაემატა ტიხრები, ზომები მოცემულია ნახაზებში. ასევე შეიცვალა 10 ღერძთან მდებარე პანდუსის გაბარიტები - 7,8 მეტრი 7,0-ის ნაცვლად;

- 3 ღერძზე და 6 ღერძზე შეიცვლება კარის სიმაღლეები. ასევე მოცემული კორექტირებული პროექტით რამდენიმე სავენტილაციო ღიობის დამატება და აგრეგატებისთვის ადგილის გამოყოფა;

- ორივე პარკინგის შესასვლელში კარის მოწყობა.

განხილული ცვლილებები ძირითადად არქიტექტურული (არაკონსტრუქციული) ხასიათისაა. აღნიშნული კორექტირებები არ (ვერ) მოახდენს უარყოფით გავლენას შენობის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე. წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი **კორექტირებული** პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ ედიშერ წოწერია



თბილისი 23-07-2026